დანართი 23

დამტკიცება: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს
დადგენილება #03, 10/01/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ომბუდსმენის დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისი
2024

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს (შემდგომში – უნივერსიტეტი) ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის - ომბუდსმენის საქმიანობის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, ფუნქცია-მოვალეობებს, უფლებამოსილებებს, მართვის ორგანიზაციასა და სტრუქტურას;

2. ომბუდსმენი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების, უნივერსიტეტის დებულების, ამ დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

მუხლი 2. ომბუდსმენის ფუნქციები

1. ომბუდსმენის საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს:

ა) უნივერსიტეტის სტუდენტთა კონსულტირებას, დახმარებას, სტუდენტების ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და მათი დარღვევის ფაქტების გამოვლენას, ასევე, დარღვეული უფლების აღდგენას საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის (შემდგომში „პერსონალი“) კონსულტირებას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც უკავშირდება მათ უფლებებსა და მოვალეობებს, უნივერსიტეტის უფლებებსა და ვალდებულებებს პერსონალის მიმართ. ასევე, უზრუნველყოფს პერსონალის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, მათ შესწავლას და რეაგირების მიზნით საკითხის დაყენებას უნივერსიტეტის შესაბამისი უფლებამოსილი პირების წინაშე;

2. ომბუდსმენი ახორციელებს სტუდენტთა კონსულტირებას შემდეგ საკითხებზე:

ა) უნივერსიტეტის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების შესახებ;

ბ) უნივერსიტეტის მისიის, შიდა გრანტების და პროგრამების, გაცვლითი პროგრამების, შიდა მობილობის შესახებ;

გ) უნივერსიტეტში ფინანსური რეგულაციების შესახებ;

დ) ეთიკის ნორმებისა და ეთიკის კოდექსით განსაზღვრული წესების, აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ;

ე) პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის შესახებ;

ვ) სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან, შეწყვეტასთან და აღდგენასთან დაკავშირებული წესების თაობაზე;

ზ) კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის შესახებ;

თ) უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტთა უფლებების დაცვის მექანიზმების თაობაზე.

ი) უმაღლესი განათლების სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის შესახებ;

კ) სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, უკავშირდება სტუდენტების უფლებებსა და მოვალეობებს;

3. ომბუდსმენი ახორციელებს პერსონალის კონსულტირებას შემდეგ საკითხებზე:

ა) უნივერსიტეტის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების შესახებ;

ბ) უნივერსიტეტის მისიისა და შიდა გრანტების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების გაცემის წესისა და პროცედურის შესახებ; ასევე, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის წესების შესახებ;

გ) უნივერსიტეტში სახელფასო ანაზღაურების პოლიტიკის შესახებ;

დ) ეთიკის ნორმების, შინაგანაწესის შესახებ;
ე) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტასთან/გაგრძელებასთან/ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლასთან დაკავშირებული წესების შესახებ;
ვ) ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალის უფლებების დაცვის მექანიზმების თაობაზე.
ზ) ასევე სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, უკავშირდება პერსონალის უფლებებსა და მოვალეობებს.
4. ომბუდსმენს, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
5. ომბუდსმენის თანამდებობაზე მიიღება პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება სამართლის დარგში, სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 2 (ორი) წლიანი გამოცდილება და ფლობს ქართულ და ინგლისურ ენებს. ასევე, აქვს კომუნიკაბელურობის და მედიატორობის უნარები უფლებადაცვით სფეროში. ომბუდსმენისათვის წარსადგენ დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აუცილებლობის შემთხვევაში აწესებს უნივერსიტეტის რექტორი.
6. ომბუდსმენი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და დაუშვებელია მის საქმიანობაში რაიმე სახით ჩარევა/ზემოქმედება.
7. ომბუდსმენი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს მას და მმართველ საბჭოს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.
8. ომბუდსმენი, ასევე, ვალდებულია ყოველ კონკრეტულ საქმეზე მოამზადოს და რექტორს წარუდგინოს დასკვნა/რეკომენდაციები.

მუხლი 3. ომბუდსმენის უფლება-მოვალეობები
1. ომბუდსმენს უფლება აქვს:
ა) უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ისაგან მოითხოვოს ქვემოთ ჩამოთვლილი ნორმატიული მასალის გაცნობა, ასევე, მასში შესული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება:
- უნივერსიტეტის დებულება;
- შინაგანაწესი;
- სტუდენტთა ეთიკის ნორმების ამსახველი ნორმატიული მასალა;
- ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის უფლებების, ეთიკის ნორმების ამსახველი ნორმატიული მასალა;
- ეთიკის კოდექსი;
- სხვა შიდა ნორმატიული მასალა, რომელიც უშუალო კავშირშია სტუდენტებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან.
2. ომბუდსმენი ვალდებულია:
ა) შექმნას საინფორმაციო სახის გზამკვლევი;
ბ) ომბუდსმენის ინსტიტუტის გაცნობისა და სტუდენტების, ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალის ინფორმირების მიზნით, დაგეგმოს შეხვედრები სტუდენტებთან და პერსონალთან;
გ) უზრუნველყოს სტუდენტებისა და პერსონალის მიღება, მათი პრეტენზიების მოსმენა, უფლებამოსილების ფარგლებში რეკომენდაციებისა და კონსულტაციების გაწევა;
დ) სტუდენტებს და პერსონალს გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები;
ე) სტუდენტებს და პერსონალს გააცნოს ის სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც მათთან უშუალო კავშირშია;

ვ) მიაწოდოს ინფორმაცია უნივერსიტეტის რექტორს გამოვლენილი პრობლემების შესახებ;
ზ) უნივერსიტეტის რექტორს წარუდგინოს ყოველწლიური ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციები;
თ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესში;
ი) უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემული სხვა ფუნქცია-მოვალეობების შესრულება.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ მიღებისთანავე;
2. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი წესების შესაბამისად;
3. ცვლილებებს განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის მმართველი საბჭო.